

კინგის მათემატიკის ოლიმპიადა - I ტური

მე-6 კლასი

ძირითადი სავარჯიშოები (40 ქულა):

- გამოთვალეთ: $9 \cdot 15 - 9 \cdot 13 + 9 \cdot 7 =$
A. 315
B. 81
C. 63
- რა რიცხვი უნდა გავამრავლოთ ხუთისა და რვის ჯამზე, რომ მივიღოთ ასწვიდმეტი?
A. ცამეტი
B. რვა
C. ცხრა
- რომელია ნაკლები?
 $(23 + 14 + 67) \cdot 4$ თუ $(43 + 28 + 89) \cdot 3$
A. $(23 + 14 + 67) \cdot 4$
B. $(43 + 28 + 89) \cdot 3$
C. ტოლია
- რა არ შეიძლება ეწეროს \star -ის ნაცვლად?
 $\star \cdot 51 > \star + 200$
A. 6
B. 4
C. 5
- ჩამოთვლილთაგან უდიდესი რიცხვი, რომელიც ნაკლებია 465-ზე, არის:
A. $3 \cdot 4 \cdot 37$
B. $5 \cdot 78$
C. $5 \cdot 6 \cdot 16$
- უდიდეს სამნიშნა რიცხვს გამოაკლეს უდიდესი ორნიშნა რიცხვი. შედეგი კი გაყვეს უდიდეს ერთნიშნა რიცხვზე. რა მიიღეს?
A. 111
B. 123
C. 100
- გიორგიმ სალომეს 17 ვაშლი რომ მისცეს, მათ ვაშლების რაოდენობა გაუთანაბრდებათ. რამდენი ვაშლი აქვს გიორგის, თუ სალომეს აქვს 21?
A. 38
B. 55
C. 34
- პირველ კალათაში სამჯერ მეტი სოკოა, ვიდრე მეორეში. რამდენი სოკო უნდა გადავდოთ პირველი კალათიდან მეორეში, რომ კალათებში სოკოების რაოდენობა გათანაბრდეს, თუ პირველ კალათაში 69 სოკოა?
A. 23
B. 46
C. ვერ დავადგენთ

ბონუს სავარჯიშოები (10 ქულა):

- შეკრიბეს 5 მომდევნო ნატურალური რიცხვი. რა ნაშთს გვადლევს ჯამი 2-ზე გაყოფისას?
A. 1-ს
B. 0-ს, ანუ იყოფა
C. ვერ დავადგენთ, ანუ გააჩნია რიცხვებს
- ყუთში 5 თეთრი და 7 წითელი ბურთია. რა უდიდესი რაოდენობის ბურთები შეიძლება ამოვიღოთ ყუთიდან მასში ჩაუხედავად, რომ დარჩენილ ბურთებს შორის აუცილებლად იყოს ორივე ფერის თითო-თითო ბურთი მაინც?
A. 4
B. 6
C. 2